

**საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის”
შეტყობინება**
**ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებისა და ბაზრის
მანიპულაციასთან დაკავშირებული რისკების შესახებ**

წინამდებარე შეტყობინება ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული რისკების შესახებ (შემდგომში შეტყობინება) წარმოადგენს საბროკერო კომპანია „რიონი კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) კლიენტების მომსახურების რეგლამენტის (შემდგომში „რეგლამენტი“) დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

აღნიშნული დანართი შედგენილია საქართველოს კანონი-ს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04 2020 წლის 7 ოქტომბერი „ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე“ -რეგულაციების საფუძველზე.

შესავალი:

ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებასთან ან/და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული რისკის შესახებ აღნიშნული შეტყობინებებით (შემდგომში - შეტყობინება) ბროკერი გაცნობებთ, რომ:

კომპანიის შიდა პოლიტიკის მიხედვით აკრძალულია შემდეგი ქმედებები:

- ა) ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობა/ვაჭრობის მცდელობა;
- ბ) მესამე პირისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემა ან მესამე პირის ინსაიდერულ ვაჭრობაზე დაყოლიება;
- გ) ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნება;
- დ) ბაზრის მანიპულაცია/მანიპულაციის მცდელობა.

1. რა არის ინსაიდერული ინფორმაცია:

ა) ზუსტი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ არ გამჟღავნებულა და პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ერთ ან რამდენიმე ფასიან ქაღალდს ან მის/მათ ემიტენტს/ემიტენტებს და რომელმაც საჯაროდ გამჟღავნების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ფასიანი ქაღალდის/ქაღალდების ან მასთან/მათთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს;

ბ) ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლისთვის ან პირისთვის, რომელიც პასუხისმგებელია კლიენტის დავალებების შესრულებისთვის, – ინფორმაცია, რომელსაც აღნიშნულ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალს ან პირს კლიენტი აწვდის და რომელიც ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე დავალებების შესრულებას ეხება, თუ ეს ინფორმაცია არის ზუსტი ხასიათის, საჯაროდ არ გამჟღავნებულა და პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ერთ ან რამდენიმე ფასიან ქაღალდს ან მის/მათ ემიტენტს/ემიტენტებს და მან საჯაროდ გამჟღავნების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ფასიანი ქაღალდის/ქაღალდების ან მასთან/მათთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

2. რა არის ინსაიდერული ვაჭრობა:

ინსაიდერული ვაჭრობა არის ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირის მიერ ამ ინფორმაციის გამოყენებით თავის ან მესამე პირის სასარგებლოდ, პირდაპირ ან არაპირდაპირ იმ ფასიანი ქაღალდების შეძენა ან განკარგვა, რომლებსაც ინსაიდერული ინფორმაცია ეხება. ინსაიდერულ ვაჭრობად მიიჩნევა აგრეთვე ინსაიდერული ინფორმაციის საფუძველზე ფასიანი ქაღალდების შესაძენად ან განსაკარგავად გაცემული სავაჭრო დავალების გაუქმება ან შეცვლა, თუ ინსაიდერული

ინფორმაცია აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს ეხება და სავაჭრო დავალება პირმა ამ ინფორმაციის ფლობამდე გასცა.

ქმედება მესამე პირისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემად ან მესამე პირის ინსაიდერულ ვაჭრობაზე დაყოლიებად მიიჩნევა, თუ ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირი:

- ა) ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მესამე პირს აძლევს რეკომენდაციას ან მესამე პირს იყოლიებს, რათა მან შეიძინოს ან განკარგოს ის ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც ინსაიდერული ინფორმაცია ეხება;
- ბ) ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მესამე პირს აძლევს რეკომენდაციას ან მესამე პირს იყოლიებს, რათა მან გააუქმოს ან შეცვალოს ფასიანი ქაღალდების შესაძენად ან განსაკარგავად გაცემული სავაჭრო დავალება, თუ ინსაიდერული ინფორმაცია აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს ეხება

ამ რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც ფლობს ინსაიდერულ ინფორმაციას ერთერთ შემდეგ შემთხვევაში:

- პირი ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრია;
- პირი ემიტენტის კაპიტალში აქციებს ან წილს ფლობს;
- პირს ინსაიდერულ ინფორმაციაზე ხელი მისი შრომითი, პროფესიული ან სხვა ვალდებულების შესრულების ფარგლებში მიუწვდება;
- პირმა ინსაიდერული ინფორმაცია დანაშაულებრივი გზით მოიპოვა.

3. რა არის ბაზრის მანიპულაცია:

ბაზრის მანიპულაციად მიიჩნევა შემდეგი ქმედება/ქმედებები:

- ა) გარიგების დადება, დავალების განთავსება ან სხვა ქმედება, რომელიც იწვევს ან რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს:
 - ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნასთან ან მათ მიწოდებასთან ან ფასიანი ქაღალდების ფასთან დაკავშირებით მცდარი ან შეცდომაში შემყვანი სიგნალის წარმოქმნა;
 - ფასიანი ქაღალდების ფასის არანორმალურ ან ხელოვნურ მაჩვენებლამდე მიყვანა/მაჩვენებელზე შენარჩუნება;
- ბ) გარიგების დადება, სავაჭრო დავალების განთავსება ან სხვა ქმედება, რომელიც გავლენას ახდენს ან რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფასიანი ქაღალდების ფასზე, თუ მას თან ახლავს ყალბი ან შეცდომაში შემყვანი საშუალების/სქემის გამოყენება ან სხვაგვარად მოტყუება;
- გ) ინფორმაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის, ინტერნეტით ან სხვა საშუალებით, გავრცელება, რაც იწვევს ან რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნასთან ან მათ მიწოდებასთან ან ფასიანი ქაღალდების ფასთან დაკავშირებით მცდარი ან შეცდომაში შემყვანი სიგნალის წარმოქმნა ან ფასიანი ქაღალდების ფასის არანორმალურ ან ხელოვნურ მაჩვენებლამდე მიყვანა/მაჩვენებელზე შენარჩუნება, თუ ინფორმაციის გამავრცელებელმა პირმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა, რომ ეს ინფორმაცია (ცნობები) მცდარი ან შეცდომაში შემყვანი იყო;
- დ) ბენჩმარკთან დაკავშირებით მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გადაცემა ან/და მონაცემების მიწოდება, თუ ინფორმაციის გადამცემმა/მონაცემების მიმწოდებელმა პირმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა, რომ ეს ინფორმაცია/მონაცემები მცდარი ან შეცდომაში შემყვანი იყო, აგრეთვე სხვა ქმედება, რომლის მიზანია ბენჩმარკის გაანგარიშების მანიპულირება.

4. ქმედებები რომლებიც არ კვალიფიცირდება როგორც ინსაიდერული ვაჭრობა:

მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ პირი ფლობს ან ფლობდა ინსაიდერულ ინფორმაციას, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ პირმა გამოიყენა აღნიშნული ინფორმაცია და, ამგვარად, ჩაერთო ინსაიდერულ ვაჭრობაში, როდესაც სრულდება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- ა) იმ ფასიანი ქაღალდებისთვის, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, ეს პირი არის მარკეტმეიკერი ან პირი, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს, როგორც კონტრაჰენტმა და ამ ფასიანი ქაღალდების შეძენა ან განკარგვა ხორციელდება მართლზომიერად ამ ფასიანი ქაღალდების მარკეტმეიკერის ან კონტრაჰენტის ჩვეულებრივი საქმიანობიდან გამომდინარე;
- ბ) პირი უფლებამოსილია აღასრულოს დავალება მესამე პირის სახელით და აღნიშნული დავალების შესრულებისთვის მართლზომიერად შეიძინოს ან განკარგოს ფასიანი ქაღალდები, მასზე დაკისრებული შრომითი, პროფესიული ან სხვა ვალდებულებიდან გამომდინარე.

მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ პირი ფლობს ან ფლობდა ინსაიდერულ ინფორმაციას, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ პირმა გამოიყენა აღნიშნული ინფორმაცია და, ამგვარად, ჩაერთო ინსაიდერულ ვაჭრობაში, თუ ამ პირის მიერ, ფასიანი ქაღალდების შეძენის ან განკარგვის ოპერაცია შესრულებულია კეთილსინდისიერად, მასზე დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე და არა იმ მიზნით, რომ თავი აერიდებინა ინსაიდერული ვაჭრობის აკრძალვისთვის და სრულდება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- ა) ვალდებულება გამომდინარეობს იმ დავალებიდან ან სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომელიც წარმოიქმნა მანამ, სანამ ამ პირს ექნებოდა ინსაიდერული ინფორმაცია;
- ბ) ეს გარიგება განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ან მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფასიანი ქაღალდების შეძენის ან განკარგვის გადაწყვეტილებების მისაღებად პირი იყენებს თავის ცოდნას, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ ფასიანი ქაღალდის შეძენის ან განკარგვისას ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებად.

5. ემიტენტის ვალდებულება

ემიტენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაასაჯაროს მასთან დაკავშირებული ინსაიდერული ინფორმაცია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს საზოგადოების მხრიდან ამ ინფორმაციის სრული, სწორი და დროული შეფასება.

6. ინსაიდერული ინფორმაციის მაგალითები:

- 6.1. მნიშვნელოვანი ცვლილებები ემიტენტის აქტივების ღირებულებაში;
- 6.2. ემიტენტის მატერიალური აქტივების ან ქონების განადგურება ან გასხვისება;
- 6.3. ემიტენტის მნიშვნელოვანი მოვალეობის გადახდისუნარიობა;
- 6.4. ემიტენტის საინვესტიციო პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება;
- 6.5. ოპერაციები, რომლებიც უკავშირდება ემიტენტის კაპიტალსა და ვალდებულებებს ან ემიტენტის მიერ მათთან მიმართებით განსაზღვრული დათქმების დარღვევას;
- 6.6. ახალი ვალდებულებების აღება, მათ შორის სასესხო ფასიანი ქაღალდების ან სხვა სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვება;
- 6.7. კომერციული ბანკის ან სხვა კრედიტორებისგან აღებული ვალდებულების რესტრუქტურირება ან საკრედიტო ხაზის გაუქმება;
- 6.8. ემიტენტის საწესდებო კაპიტალის გაზრდასთან ან შემცირებასთან დაკავშირებით
- 6.9. გადაწყვეტილების მიღება;

- 6.10. ემიტენტის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვასთან ან სხვა საჯარო ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება;
- 6.11. ემიტენტის საოპერაციო შედეგები;
- 6.12. შერწყმა, გაყოფა ან სხვაგვარი რეორგანიზაცია;
- 6.13. ემიტენტის მიერ სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი წილის ან სხვა აქტივების შეძენა ან განკარგვა;
- 6.14. განხორციელებული ან დაგეგმილი ცვლილებები ბიზნესსაქმიანობის სხვადასხვა
- 6.15. მიმართულებებით, მათ შორის არსებული მიმართულების საქმიანობის სფეროების
- 6.16. გაფართოება/შემცირება ან ბიზნესსაქმიანობის ახალ სფეროში შესვლა ან არსებულიდან გამოსვლა;
- 6.17. ინოვაციური პროდუქტის ან პროცესების დანერგვა;
- 6.18. ახალი ლიცენზიების, პატენტების, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მიღება;
- 6.19. რესტრუქტურირაცია ან რეორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე ან მოგებასა და ზარალზე;
- 6.20. მნიშვნელოვან მომწოდებლებთან ან კლიენტებთან ხელშეკრულებების შეწყვეტა/გაუქმება, ან მათი პირობების დარღვევა;
- 6.21. ცვლილებები ემიტენტის კონტროლში ან კონტროლთან დაკავშირებულ შეთანხმებებში;
- 6.22. ემიტენტის მმართველ ორგანოსთან დაკავშირებული ცვლილებები;
- 6.23. ემიტენტის მომსახურე აუდიტორების ან მისი საქმიანობისთვის კრიტიკული მომსახურების გამწევ პირთა/ექსპერტთა ცვლილება ან ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- 6.24. ემიტენტის საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებული ცვლილებები;
- 6.25. მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავები;
- 6.26. გადახდისუნარიანობის/გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება;
- 6.27. ემიტენტის ლიკვიდაცია ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

7. ბაზრის მანიპულაციის მაგალითები:

- ფასიანი ქაღალდების შეძენის ან გასხვისების იმგვარი ოპერაცია, რომელიც არ იწვევს ფასიანი ქაღალდის ბენეფიციარი მესაკუთრის ცვლილებას ან ფასიან ქაღალდზე საბაზრო რისკის გადაცემას; ასევე, გარიგება, რომლის დროსაც ბენეფიციარი მესაკუთრეობის ცვლილება და საბაზრო რისკის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით მოქმედ პირებს შორის; (აღნიშნული არ მოიცავს რეპო ოპერაციებსა და ფასიანი ქაღალდის სესხებას/გასესხებას);
- საფონდო ბირჟაზე ან სხვა სახის სავაჭრო პლატფორმაზე გარიგების დადება ან დავალების განთავსება მოჩვენებითი საბაზრო აქტივობის შექმნის გზით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფასიანი ქაღალდების ფასთან, მის მოთხოვნასთან ან მიწოდებასთან დაკავშირებით მცდარი სიგნალების წარმოქმნა. მაგალითად, სავაჭრო დავალებ(ებ)ის განთავსება წინა დავალებ(ებ)ისგან განსხვავებულ (უფრო დაბალ ან მაღალ) ფასად, მაშინ, როდესაც არ არსებობს ამ დავალებ(ებ)ის აღსრულების განზრახვა;
- ბაზრის დახურვისას ფასიანი ქაღალდების შეძენა ან განკარგვა, რომლის მიზანს წარმოადგენს ამ ფასიანი ქაღალდების ბაზრის დახურვის ფასზე გავლენის მოხდენა.

- გარიგებების დადება ან დავალებების განთავსება, ფასიანი ქაღალდების ფასის ხელოვნურ (არანორმალურ) მაჩვენებელზე შენარჩუნების მიზნით;
- ფასიანი ქაღალდების მიწოდებაზე ან მოთხოვნაზე დომინანტური პოზიციის შენარჩუნება, რომლის შედეგს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდის შეძენის ან განკარგვის ფასის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფიქსირება, ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების შექმნა იმავე ფასიან ქაღალდთან ან მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით;
- ფასიანი ქაღალდის ფასის ვარდნის მუდმივი პრევენცია, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს საკრედიტო შეფასება, დათქმები ან ჰეჯირებასთან დაკავშირებული სხვა მიზნები;
- საინვესტიციო პორტფელის ან ფასიანი ქაღალდების შეფასების გაუმჯობესების მიზნით თვის, კვარტალის ან ნებისმიერი სხვა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, ფასიანი ქაღალდების დიდი მოცულობით ყიდვა ან გაყიდვა;
- პირის ან ურთიერთშეთანხმებით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ პირველადი შეთავაზების საფუძველზე ფასიანი ქაღალდების მიღების შემდგომ, ამ ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე შეძენა მათი ფასის ზრდის მიზნით, რათა შესაძლებელი იყოს პირველად ბაზარზე შეძენილი ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე უფრო მაღალ ფასად გაყიდვა.

8. შიდა მონიტორინგი

ბროკერი ახორციელებს კლიენტების სავაჭრო აქტივობის მონიტორინგს ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების ან ბაზრის მანიპულირების ნიშნების გამოვლენის მიზნით. საექვო ოპერაციები შეიძლება შეიზღუდოს ან დაბლოკოს, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია გადაეცეს საქართველოს ეროვნულ ბანკს ბაზრის ზედამხედველობის (Market Surveillance) პროცედურების ფარგლებში.

9. კლიენტის ინფორმირება

კლიენტი ინფორმირებულია, რომ ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენება, ბაზრის მანიპულირება ან ბაზრის მანიპულირების მცდელობა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას და შეიძლება გამოიწვიოს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს კანონის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №180/04 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის „ინსაიდერულ ვაჭრობასთან, ინსაიდერული ინფორმაციის უკანონო გამჟღავნებასთან და ბაზრის მანიპულირებასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს, მისცეს რეკომენდაცია კლიენტს, რომ გულდასმით განიხილოს, არის თუ არა კლიენტისთვის მისაღები, კლიენტის საინვესტიციო მიზნებისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული რისკები. წინამდებარე დეკლარაცია ისახავს მიზნად, დაეხმაროს კლიენტს ამ რისკების და ასეთი ოპერაციების შედეგების შეფასებაში. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია გასაგებია მისთვის და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს განმარტება რიონი კაპიტალისგან ან შესაბამის საკითხებში სპეციალიზირებული კონსულტანტისგან.